საქართველო
ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია

0800 ქ.ახალციხე, შალვა ახალციხელის ქ. № 2 | № 2 Shalva Akhaltsikheli str, 0800 Akhaltsikhe

№ 790/4 | 17 ნოემბერი 2014 წელი

მე, გიორგი კოპაძე, ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი გატყობინებთ, რომ ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გამართულ შეხვედრაზე გადაწყვიტა, რომ დამევალოს [მე / უფლებამოსილ წარმომადგენელს: მერს, მოვაწერო ხელი მერების შეთანხმებას და ვიკისრო მასში გათვალისწინებული ყველა ვალდებულება, კერძოდ:

- **ხელი შეუწყოთ ევროკავშირის მიერ 2020 წლისათვის დასახული ამოცანების დანერგვას,** რაც ითვალისწინებს ჩვენს შესაბამის ტერიტორიებზე CO_2-ის ემისიის მინიმუმ 20%-ით შემცირებას;
- **წარმოვადგინოთ ენერგეტიკული მდგრადი სამოქმედო გეგმა ემისიების საბაზისო ინვენტარიზაციის** ჩათვლით. ეს გეგმა უნდა შეიცავდეს ზემოაღნიშნული თარიღიდან ერთი წლის განმავლობაში დასახული ამოცანების მიღწევის გზებს;
- სამოქმედო გეგმის წარდგენიდან მინიმუმ ორ წელიწადში ერთხელ **წარმოვადგინოთ გეგმის განხორციელების ანგარიში** შეფასების, მონიტორინგისა და დამტკიცებისათვის;
- **მოვაწყოთ ე.წ. „ენერგიის დღეები“ ევროკომისიასთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, რაც მოქალაქეებს ენერგიის უფრო რაციონალურად მოხმარების მიიღწევის შესაძლებლობას მისცემს; ამასთანავე, ადგილობრივ მასმედიას რეგულარულად ვაცნობოთ სამოქმედო გეგმის განვითარების შესახებ ინფორმაცია;**
- **მონაწილეობა მივიღოთ და წვლილი შევიტანოთ ევროკავშირის მერების ყოველწლიურ კონფერენციაში,** რომელიც ევროპაში მდგრადი ენერგეტიკის თემას ეთმობა;

ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია . ქ .ახალციხე კოსტავას # 16

გიორგი კოპაძე . g.kopa02@mail.ru; +995 596 574141

[თარიღი],

ხელმოწერა

Covenant of Mayors
Committed to local sustainable energy

www.eumayors.eu

ADHESION FORM

I,[Giorgi Kopadze], **[City Mayer'sOffice]**of **[Akhaltsikhe Municipality of the Samtskhe-Javakheti region of Georgia]** inform you that the**[City Council of the Akhaltsikhe Municipality]** decided at the meeting on **[30.10.2014]** to mandate **[me/legal representative: City Mayor]** to sign up to the Covenant of Mayors, in full knowledge of all commitments, in particular:

- to **go beyond the objectives set by the EU for 2020**, reducing the CO_2 emissions in our respective territories by at least 20%;
- to **submit a Sustainable Energy Action Plan** including a baseline emission inventory which outlines how the objectives will be reached, within one year of the abovementioned date;
- to **submit an implementation report** at least every second year following the submission of the Action Plan for evaluation, monitoring and verification purposes;
- to **organise Energy Days**, in co-operation with the European Commission and with other stakeholders, allowing citizens to benefit directly from the opportunities and advantages offered by a more intelligent use of energy, and to regularly inform the local media on developments concerning the action plan;
- to**attend and contribute to the annual EU Conference of Mayors** for a Sustainable Energy Europe.

[City Mayer's Office of the Akhaltsikhe Municipality, Samtskhe-Javakheti, Georgia.
16, Kostava Street, Akhaltsikhe]
[Giorgi Kopadze; g.kopa02@mail.ru; +995 596 57 41 41;]

[10.11.2014],

224095903

SIGNATURE

ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 47

2014 წლის 31 ოქტომბერი
ქ. ახალციხე

ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერისათვის „მერების შეთანხმებაზე“ ხელის მოწერის ოფიციალური ნებართვის გადაწყვეტილების მიღების თაობაზე

აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს/USAID-ის მხარდაჭერით „ვინროკ ინთერნეშენალ ჯორჯია” განახორციელებს პროექტს „დაბალემისიებიანი განვითარების სტრატეგიების შესაძლებლობათა გაძლიერება/სუფთა ენერგიის პროგრამა“, რომელშიც ჩართულია საქართველოს თვითმმართველი ქალაქები, მათ შორის ქალაქი ახალციხე.

სუფთა ენერგიის პროგრამა მერების შეთანხმება არის ფართომასშტაბიანი ინიციატივა. იგი აერთიანებს ადგილობრივ და რეგიონულ მთავრობებს, რომლებიც ნებაყოფლობით იღებენ ვალდებულებას გაზადონ ენერგოეფექტურობა და განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენება მათ დაქვემდებარებაში მოფ ტერიტორიებზე. შეთანხმების ხელმოწერა მიზნად ისახავს 2020 წლისათვის შემცირდეს CO_2 -ის ემისიები მინიმუნ 20%-ით და ამით თავიანთი წვლილი შეიტანონ მწვანე ეკოლოგიურად ორიენტირებული ეკონომიკის განვითარებასა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისათვის.

ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის გიორგი კოპაძის 2014 წლის 28 ოქტომბრის #665/4 მომართვის თანახმად, ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერს /მერი - გიორგი კოპაძე/ „მერების შეთანხმებაზე“ ხელმოწერის თაობაზე.
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. №62).
3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე — კახაბერ ბერიძე

ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო COUNCIL OF TOWN AKHALTSIKHE MUNICIPALITY GEORGIA 22409590